<u>იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი</u>
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

**სასწავლო კურსის პროგრამა**

**ს ი ლ ა ბ უ ს ი**

**სალექციო კურსის დასახელება:** აკადემიური წერა

**სალექციო კურსის კოდი:** **U. 2. AW**

**კრედიტების რაოდენობა:** 5 კრედიტი (125 საათი); კურსის ხანგრძლივობა ერთი აკადემიური სემესტრია (15 კვირა). კვირაში ჩატარდება 1 ლექცია და 1 სემინარი. (30 საათი განკუთვნილია სააუდიტორიო, 95 საათი –დამოუკიდებელი მუშაობისათვის). სალექციო კურსი ისწავლება მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაში).

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო

**ასოცირებული პროფესორი:** ნინო კახაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ტელ.: 5(93)34.33.26; 5(350)7.28.71
ninokakhashvili@yahoo.com

სტუდენებთან ინდივიდუალური კონსულტაციის დღეები:
ორშაბათი, ოთხშაბათი_12 საათიდან 13 საათამდე.

**სალექციო კურსის მიზანია,** მაგისტრანტებმა შეისწავლონ და გამოიმუშაონ კვლევითი ნაშრომების შექმნის უნარ-ჩვევები, იცოდნენ როგორ მოიძიონ საკვლევი პრობლემის გადაჭრის გზები, მოპოვებული ლიტერატურის გამოყენება და ა.შ.

ხელი შეუწყოს მაგისტრანტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ანალიზისა და შეფასების გამომუშავების უნარს და მისი წერილობით გადმოცემას;

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა** არ აქვს.

კურსის შედეგები:

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | აცნობიერებს კვლევითი ნაშრომის ძირითად თავისებურებებს და ფლობს მისი შექმნისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. | აცნობიერებს სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად საჭირო ყველა ეტაპს– კვლევითი ნაშრომისათვის საჭირო მასალების მოძიებიდან ნაშრომის სტრუქტურისა და ბიბლიოგრაფიის დამოწმების ჩათვლით. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრანტს შეუძლია დამოუკიდებლდ შექმნას კვლევითი ნაშრომი უახლესი მეთოდებისა და სტანდარტების გამოყენებით. | მაგისტრანტს შეუძლია შექმნას როგორც საბიბლიოთეკო, ასევე ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომი და საკუთარი სიახლე სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინოს თნამედროვე მსოფლიოში მიღებული აკადემიური წერის პრინციპების გათვალისწინებით. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების წარმოდგენა გამართული სამეცნიერო ნაშრომის სახით. | შეუძლია მოიძიოს საკვლევი საკითხის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი და დოკუმენტი ეტაპობრივად მოახდინოს მათი დამუშავება და ანალიზი და გამოტანოს ლოგიკური და თანმიმდევრული დასკვნები კვლევითი ნაშრომის სტრუქტურული თანმიმდევრობის გათვალისწინებით. |
| კომუნიკაციის უნარი | შუძლია გამართული წერილობითი კომუნიკაცია როგორც სამეცნიერო ასევე საზოგადოების ფართო ფენებთან ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. | შეუძლია წერილობითი ფორმით ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში როგორც საკუთარ დარგში, ასევე ნებისმიერ, მისთვის კომპეტენტურ სფეროში და კვლევითი ნაშრომის სახით წარმოადგინოს საკუთარი შეხედულებები და ანალიზი. |
| სწავლის უნარი | შეუძლია როგორც დამოუკიდებლად სწავლა ასევე შემდგომი სწავლის პროცესის დაგეგმვა. | კვლევით ნაშრომზე მუშაობის შემდეგ შეუძლია სრულად გააცნობიეროს სამეცნიერო მუშაობის ძირითადი სირთულეები, მიღებული კვლევის შედეგები და განსაზღვროს თავისი შემდგომი სამეცნიერო მუშაობის საჭიროება. |
| ღირებულებები | იცნობს სამეცნიერო ნაშრომების შექმნის აუცილებელ პრინციპებს. აფასებს სხვების ღირებულებებს და ამკვიდრებს საკუთარ ფასეულობებს. | აცნობიერებს სამეცნიერო ნაშრომის შექმნისას საჭირო მეცნიერულ პატიოსნებას, კოლეგებისა და ოპონენტებისადმი პატივისცემას. |

სალექციო კურსის შინაარსი:

I–II კვირა.

<u>სამეცნიერო ტექსტის აგების ძირითადი პრინციპები და მისი მომზდება</u>

ძირითადი საკითხები:

- სასწავლო კურსის სილაბუსის გაცნობა;
- აკადემიური წერის სწავლების მნიშვნელობა მაგისტრატურაში.
- რას ნიშნავს სამეცნიერო ნაშრომი;
- როგორ იქმნება სამეცნიერო ნაშრომი.

სავალდებულო ლიტერატურა:

1. წულაძე, ლ. (2006). გვ. 33-34; 38-40.
2. გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). აკადემიური წერა. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 116-126

III კვირა.

<u>სამეცნიერო ტექსტის აგების ძირითადი პრინციპები და მისი მომზდება</u>

ძირითადი საკითხები:

- რეფერატი; თეზისები;
- ანოტაცია, რეზიუმე;
- პრაქტიკული სავარჯიშოები.

ზეპირი გამოკითხვა_ნამუშევრების წარდგენა-ანალიზი

სავალდებულო ლიტერატურა:

1. წულაძე, ლ. (2006). გვ. 33-34; 36-37.
2. გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). აკადემიური წერა. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 126-138

IV-V კვირა

<u>კვლევითი ნაშრომი</u>

**ძირითადი საკითხები:**

- კვლევითი ნაშრომი (ზოგადი მიმოხილვა);
- კვლევითი ნაშრომის სახეები;
- სამაგისტრო ნაშრომის მთავარი მოთხოვნები;
- სადოქტორო ნაშრომის მთავარი მოთხოვნები;
- რეცენზია;
- პრაქტიკული სავარჯიშოები

შუალედური წერა

**სავალდებულო ლიტერატურა:**

1. წულაძე, ლ. (2006). გვ. 55-57; გვ. 60-63
2. გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). აკადემიური წერა. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 138-147

VI-VII კვირა.

<u>საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომი</u>

**ძირითადი საკითხები:**

- საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომი (ზოგადი მიმოხილვა);
- საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის შექმნის საფეხურები;
- საკვლევი პრობლემის დასმა;
- წყაროების მოძიება და მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება;
- პრაქტიკული სავარჯიშოები.

ზეპირი გამოკითხვა_ნამუშევრების წარდგენა-ანალიზი

**სავალდებულო ლიტერატურა:**

1. წულაძე, ლ. (2006). გვ. 56-57

VIII-IX კვირა

<u>საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომი</u>

**ძირითადი საკითხები:**

- ნაშრომის გეგმის შექმნა.
- საბიბლიოთეკო კვლევითი ნაშრომის ძირითადი ნაწილი და დასკვნა;
- პრაქტიკული სავარჯიშოები და პრეზენტაციები.
- შუალედური წერითი გამოკითხვა

**სავალდებულო ლიტერატურა:**

1. წულაძე, ლ. (2006). გვ. 57-58

X-XI კვირა.

ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომი

ძირითადი საკითხები:

- ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის ზოგადი დახასიათება
- ექსპერიმენტული კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა.
- პრაქტიკული სავარჯიშოები;

ზეპირი გამოკითხვა_ნამუშევრების წარდგენა-ანალიზი

სავალდებულო ლიტერატურა:

1. წულაძე, ლ. (2006). გვ. 60-63

XII-XIII კვირა

ნაშრომის მომზადება საჯარო გამოსვლისთვის

ძირითადი საკითხები:

- პრეზენტაციის მიზანი;
- საპრეზენტაციო ტექსტის სქემა;
- სტილი და ენობრივი საშუალებები;
- პრაქტიკული სავარჯიშოები.

ზეპირი გამოკითხვა_ნამუშევრების წარდგენა-ანალიზი

სავალდებულო ლიტერატურა:

1. გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). აკადემიური წერა. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 105-116

XIV კვირა

მონოგრაფია

ძირითადი საკითხები:

- მონოგრაფიის სტრუქტურა;
- ანოტაცია; წინასიტყვაობა; ბოლოსიტყვაობა;
- სხვადასხვა ტიპის საძიებელი; შინაარსი (სარჩევი); ბიბლიოგრაფია;

შუალედური წერითი გამოკითხვა.

სავალდებულო ლიტერატურა:

1. გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). აკადემიური წერა. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. გვ. 147-159

XV კვირა

ნაშრომის გაფორმების ფორმატი

•სამაგისტრო ნაშრომების ტექნიკური გაფორმება.
• დოკუმენტის შედგენის ტექნიკური მახასიათებლები
•სქოლიო და შენიშვნა
•ცხრილები და სურათები
•დანართი

**სავალდებულო ლიტერატურა:**

1. კაჭარავა, ლ., მარწყვიშვილი, ხ. და ხეჩუაშვილი, ლ. (2007). აკადემიური წერა დამწყებთათვის. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია. გვ.99-118

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:**

კურსი პრაქტიკული ხასიათისაა, რაც გულისხმობს სტუდენტების ინტენსიურ ჩართვას ლექციებსა და სემინარებში; სტუდენტების მიერ ყოველკვირეული დავალებების მომზადებას და მათ განხილვას. სწავლა წარიმართება ინტერაქტიული მეთოდით. სემინარები, პრეზენტაციები, დისკუსიები, დებატები, ტექსტის ანალიზი, მუშაობა მცირე ჯგუფებში, თვითშეფასება, სხვათა ნაშრომების შეფასება და სხვ. სტუდენტებს მეტ მოტივაციას შეუქმნის ამ საგნის უკეთ დაუფლებაში.

<u>სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:</u>

**შეფასების კრიტერიუმები:**

სტუდენტი შეფასდება მაქს. 100 ქულით, რომელიც განაწილებულია შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შემდეგი თანაფარდობით:

შუალედური შეფასება –მაქს. 60 ქულა

დასკვნითი გამოცდა –მაქს.40 ქულა

მათ შორის:

2 შუალედური წერა– თითოეული შეფასდება მაქს. 15 ქულით (მაქხ. 30% –2 X15)

შუალედური წერის თემების შესახებ სტუდენტი გაფრთხილდება ერთი კვირით ადრე. შედეგს სტუდენტი შეიტყობს დაწერიდან 3 სამუშაო დღეში.

- 4 ზეპირი გამოკითხვა–თითოეული შეფასდება მაქს. 5 ქულით (მაქს. 20 ქულა –4X5)
- 1 ზეპირი პრეზენტაცია – შეფასდება მაქს. 10 ქულით (მაქს. 10ქულა–10 X1)

წარდგენილი თემატიკიდან სტუდენტი სემესტრის დასაწყისშივე შეარჩევს ერთ-ერთ საპრეზენტაციო თემას და მომზადების პროცესში პროფესორისგან პერიოდულად მიიღებს კონსულტაციებს.

სტუდენტები თემებს წარმოადგენენ წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

საპრეზენტაციო თემის მოცულობა უნდა იყოს არა ნაკლებ 2 ნაბეჭდი ან 3 ხელნაწერი ( 4 ფორმატი) გვერდისა.

პრეზენტაცია შეფასდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით:

-თემის გასაგებად წარმოდგენა –მაქს. 4 ქულა

-დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა –მაქს. 4 ქულა

-ვიზუალური საშუალებების გამოყენება –მაქს. 2 ქულა

გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც ექნება შუალედური შეფასება არა ნაკლებ 11 ქულისა.

შუალედური მუშაობისა და დასკვნითი გამოცდის შეჯამების შემდეგ, სტუდენტს მიენიჭება დადებითი შეფასებები:

A (ფრიადი) –91 ქულა და მეტი

B (ძალიან კარგი) –81-90 ქულა

C (კარგი) –71-80 ქულა

D (დამაკმაყოფილებელი) –61-70 ქულა

E (საკმარისი) –51-60 ქულა

უარყოფითი შეფასებები: FX (ვერ ჩააბარა) ეძლევა დამატებით გასვლის უფლება –41-50 ქულა

F (ჩაიჭრა) ახლიდან აქვს შესასწავლი –40 ქულა და ნაკლები.

**ძირითადი ლიტერატურა:**


1. წულაძე, ლ. (2006). აკადემიური წერა. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

2. გოჩიტაშვილი, ქ., შაბაშვილი, გ. და შარაშენიძე, ნ. (2007). აკადემიური წერა. თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“.


**რეკომენდებული ლიტერატურა:**

1. გუთბროდი, ჰ. (2004). მეგზური წარმატებული ურთიერთობისათვის. თბილისი: სანი.
2. ჰარბორდი. ჯ. (2003). აკადემიური წერის სწავლება. მასწავლებლების ტრენინგის სემინარი. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი.